საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება №01-26/ნ

2019 წლის 25 მარტი

ქ. თბილისი

სამედიცინო სტატისტიკური ინფორმაციის წარმოების და მიწოდების წესის შესახებ

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20, 43-ე და 45-ე მუხლების, „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 და 25-ე მუხლებისა და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

1. სამედიცინო სტატისტიკაში ერთიანი ინფორმაციული სისტემის სრულყოფისა და ანგარიშგების ელექტრონულ ფორმატში გადასვლის მიზნით, დამტკიცდეს თანდართული:

ა) სამედიცინო (მ.შ. სამეცნიერო-კვლევითი) დაწესებულებების მიერ წარსადგენი უწყებრივი სტატისტიკური ანგარიშგების წლიური ელექტრონული ფორმების ჩამონათვალი და წარდგენის ვადები (დანართი №1);

ბ) სამედიცინო (მ.შ. სამეცნიერო-კვლევითი) დაწესებულებების და მუნიციპალური (ქალაქის) საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრების (შემდგომ – ტექსტსა და დანართებში – სჯც) მიერ წარსადგენი უწყებრივი სტატისტიკური ანგარიშგების ყოველკვარტალური და ყოველთვიური ელექტრონული ფორმების ჩამონათვალი და შევსების ვადები (დანართი 2);

გ) სამედიცინო (მ.შ. სამეცნიერო-კვლევითი) დაწესებულებების მიერ წარსადგენი უწყებრივი სტატისტიკური ანგარიშგებით გათვალისწინებული ელექტრონული მოდულების (მათ შორის, რეგისტრების) ჩამონათვალი და შევსების ვადები (დანართი 3);

დ) სტატისტიკური ანგარიშგების ელექტრონული მოდულების/რეგისტრების წარმოების წესები (დანართი 4);

ე) სამედიცინო (მ.შ. სამეცნიერო-კვლევითი) დაწესებულებების მიერ წარსადგენი ელექტრონული ანგარიშგების სისტემები/რეგისტრები (№1, №2 და №3 დანართები) განთავსებულია შემდეგ ელექტრონულ მისამართებზე: www.ehealth.moh.gov.ge და www.portal.ncdc.ge და სისტემებში წარმოდგენილი ცვლადები ივსება თანდართული წესების შესაბამისად;

ვ) სამედიცინო (მ.შ. სამეცნიერო-კვლევითი) დაწესებულებების და მუნიციპალური (ქალაქის) საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრების საქართველოში ინფექციურ დაავადებათა ეპიდზედამხედველობის და კონტროლის საალრიცხვო და შეტყობინების ფორმები, მათი წარმოების და ანალიზის წესი და წარდგენის ვადები (დანართი №5).

2. სამედიცინო (მ.შ. სამეცნიერო-კვლევითი) დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა, განურჩევლად მათი საკუთრების ფორმისა, ასევე, საზოგადოებრივი ჯანდაცვის მუნიციპალურმა (ქალაქის) ცენტრებმა უზრუნველყონ:

ა) დაწესებულებების საქმიანობის შესაბამისი სტატისტიკური ინფორმაციის (მათ შორის, მოქმედი მემორანდუმებით გათვალისწინებული) წარმოება და წარდგენა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომ ტექსტსა და დანართებში – სამინისტრო) სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრისათვის (შემდგომ ტექსტსა და დანართებში – ცენტრი) თანდართული ჩამონათვალის და ვადების მიხედვით (დანართი №1-№5);

ბ) სამედიცინო (მ.შ. სამეცნიერო-კვლევითი) დაწესებულების ხელმძღვანელებმა უზრუნველყონ სტატისტიკურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი/უფლებამოსილი პირის/პირების განსაზღვრა და სტატისტიკური ანგარიშგების მაქსიმალური სიზუსტით წარმოებაზე კონტროლის განხორციელება.

3. ცენტრი უზრუნველყოფს:

ა) ელექტრონული მოდულების ადმინისტრირებას;

ბ) სამინისტროსა და სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში (საქსტატი) ანგარიშების წარდგენას დადგენილი წესის და ვადების მიხედვით;

გ) სამედიცინო დაწესებულებებში სტატისტიკურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირთა კონსულტირებას და სათანადო მომზადებას მოთხოვნის შემთხვევაში.

4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სამედიცინო სტატისტიკური ინფორმაციის წარმოების და მიწოდების წესის შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2016 წლის 18

იანვრის №01-2/ნ ბრძანება.
5. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი

დავით სერგეენკო